

ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის
N81 ბინაზე, მოქალაქე დავით ბრეგაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე დავით ბრეგაძის განცხადება /2011 წლის 25.10 Nბ-8396/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N81 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N81 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავით ბრეგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N81 ბინაზე /საერთო ფართობი 40,27 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 18,20 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,72 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 7,35 კვ.მ./ მოქალაქე დავით ბრეგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე